# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური გამგრძელებლის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, უდიდესი სოციალური რევოლუციის ხელმძღვანელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1970 წლის 21 აპრილს ქალაქ მოსკოვში სასახლეში გაიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 66 (4060)

4 1970 წ. აპრილი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## 20 წ.

◆ როვანიემი (ფინეთი), 3 აპრილი. აქ გაიხსნა თეთრი უნივერსიადა, რომელმაც 27 ქვეყნის ზამთრის სახეობათა 650 ოსტატს მოუყარა თავი. სსრ კავშირის ღირსებას იცავენ ცნობილი სპორტსმენები გ. ნაპალკოვი, ა. ოლიუნინა, ფ. სიმაშოვი, ნ. ნოვიცინი, ლ. ტიტოვა, ლ. სმირნოვა, ა. სურაიკინი და სხვ. ფიგურისტები ჰელსინკში იასპარეზებენ, ჰოკეისტები — ტამპერეში. დიდი ინტერესით ელიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სტუდენტი ჰოკეისტების შეხვედრას.

◆ ტაშკენტი, 3 აპრილი. „პახტაქორის" კორტებზე დღეს დაიწყო საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა საგაზაფხულო ტურნირი. პირველ დღეს არავითარი მოულოდნელობა არ მომხდარა — ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა. მეორე წრეში გავიდნენ ო. მოროზოვა, ტ. კივი, რ. ისლანოვა, მ. ჩუვირინა, თ. ლეიუსი, ვ. პალმანი, ს. ლიხაჩოვი, ა. ვოლკოვი და სხვა ცნობილი სპორტსმენები. ერთეულთა თანრიგებში 16-16 ჩოგბურთელი გამოდის. გაიმართება წყვილთა შეხვედრებიც.

◆ ლოს-ანჯელესი, 3 აპრილი. ამერიკელმა ფიგურისტმა, მსოფლიო ჩემპიონმა ტ. ვუდმა პროფესიულ ყინულის რევიუსთან („აის კაპეიდს") მოაწერა ხელი კონტრაქტს. მან განაცხადა, რომ „ფული უნდა შეაგროვოს" უმაღლესი სასწავლებლის დასამთავრებლად (იგი ვექილობას აპირებს).

# მესტიაში ზამთარია

მესტიის რაიონში ზამთარი გრძელდება. ადგილობრივი მოთხილამურენი ბუნების ამ სიკეთეს კარგად იყენებენ. ახლახან მათ ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი გამართეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო სამთომოთხილამურეთა შეჯიბრება. სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში პირველობა გ. ჯაფარიძემ დაისაკუთრა, სპეციალურ სლალომში კი ყველას აჯობა გ. ლარიბაშვილმა.

სურათებზე: ქვემოთ — ჯაფარიძე დისტანციაზე; მარჯვნივ — ლარიბაშვილი შეჯიბრების შემდეგ.





ტექსტი და ფოტო გ. ჯაფარიძისა.

# ცვლას მეტი მზრუნველობა!

მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობაში კიდევ ერთი დიდი წარმატება იზეიმა თბილისელმა მ. ელერდაშვილმა. ლენინგრადელ ნ. ბოგდანოვასთან ერთად მან დაუმარცხებლად განვლო გოგონათა წყვილების ასპარეზობა და ერთეულებში მოპოვებულ გამარჯვებას კიდევ ერთი I ადგილი მიუმატა. თბილისელისა და ლენინგრადელის შეხმატკბილებულმა დუეტმა ფინალში დაამარცხა ალმაათელი ო. ბაბიი და მინსკელი ს. კორზუნი — 7:5, 6:1. III ადგილზე გავიდნენ მოსკოველი ნ. მიკლაშევსკაია და სოჭელი ნ. ლუკაშინა.

ბიჭების წყვილების ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ვ. პავლენკო (მოსკოვი) — ა. მილკი (ტალინი) და ვ. ბრენდე (მოსკოვი) — ა. სემერჯიანი (სოჭი). პირველმა დუეტმა დაძაბულ ბრძოლაში ოდნავ უკეთ ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც — 7:5, 8:6. III ადგილი წილად ხვდათ თბილისელ ა. ახვლედიანსა და მინსკელ ა. მირონჩიკს, რომლებმაც ამ ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს თბილისელი გ. ელერდაშვილი და ალმაათელი პ. კოლესნიკოვი — 7:5, 6:3.

ქალიშვილთა ერთეულებში ყველას აჯობა ალმაათელმა მ. კროშინამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბაქოელი ე. ბირიუკოვა (6:3, 3:6, 6:1). III ადგილზეა სოჭელი ო. ვორსინა.

ქალიშვილთა წყვილებში ფინალური ბრძოლა მოიგეს ბირიუკოვამ და მოსკოველმა ნ. რადაევამ: მათ დაამარცხეს ტალინელი ე. კომაროვა და კროშინა (6:4, 2:6, 7:5). III ადგილი წილად ხვდათ მოსკოველებს ლ. ტოპორკოვასა და ე. გრანატუროვას.

ჭაბუკთა ერთეულებში ყველას აჯობა ტალინელმა ვ. ლაპიმაამ. ნახევარფინალში მან დაამარცხა ლენინგრადელი რ. ანტონიანი (6:1, 3:6, 6:0), ფინალში — სევეროდონეცკელი ი. გრიგორი (5:7, 6:4, 6:4).

ჭაბუკთა წყვილების ფინალში დაძაბული ბრძოლა გაიმართა ტ. კერგე (ტალინი) — ლაპიმაასა და ა. რუდ — ვ. ლიტვინოვს (ორივე — ალმაათა) შორის. გაიმარჯვეს ალმაათელებმა — 6:8, 12:10, 6:3. ა. ბოგომოლოვმა და ვ. ილარიონოვმა (ორივე — მოსკოვი) III ადგილი დაიკავეს.

შერეულ წყვილებში საუკეთესონი აღმოჩნდნენ ე. გრანატუროვა და ბოგომოლოვი. II ადგილზე გავიდნენ კომაროვა და ლაპიმაა, III — კროშინა და რუდი.

რა მოიმკეს მასპინძლებმა თბილისის „დინამოს" კორტებზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში? 8 გუნდის შეჯიბრებაში... VII ადგილი. რაც შეეხება პირად პირველობას, ჩვენი „მოსავალი" ასეთია: გოგონათა ერთეულები. I ადგილზე — მ. ელერდაშვილი; გოგონათა წყვილები. I ადგილზე—მ. ელერდაშვილი (ბოგდანოვასთან ერთად); ბიჭების ერთეულთა თანრიგი. II ადგილზე — ა. ახვლედიანი, VIII ადგილზე — გ. ელერდაშვილი; ბიჭების წყვილთა თანრიგი. III ადგილზე — ა. ახვლედიანი (ა. მირონჩიკთან ერთად), IV ადგილზე — გ. ელერდაშვილი (ალმაათელ პ. კოლესნიკოვთან ერთად); ქალიშვილთა ერთეულები. XIV ადგილზე — ხ. კეკელია, XVII ადგილზე — ი. მირიმანოვა; ქალიშვილთა წყვილებში მხოლოდ საპრიზო ადგილები გათამაშდა. თბილისელთა წყვილი (კეკელია და მირიმანოვა) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა; ჭაბუკთა ერთეულები. XIV ადგილზე — ვ. ოსიპოვი, XV ადგილზე— გ. აბრამიძე; ჭაბუკთა წყვილებში თბილისელი ოსიპოვი და ტალინელი მ. მეტსისი პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ და გამოეთიშნენ შეჯიბრებას; შერეულ წყვილთა თანრიგში თბილისელებს არ უასპარეზიათ.

### მოზარდთა საკავშირო პირველობა ჩოგბურთში

როგორც ხედავთ, გოგონებმა და ბიჭებმა გვასახელეს, განსაკუთრებით მ. ელერდაშვილმა (მწვრთნელი ი. ელერდაშვილი) და ა. ახვლედიანმა (მ. კლდიაშვილი). ორივე ჩოგბურთელი 1956 წელსაა დაბადებული და გვინდა დავიჯეროთ, რომ მათი სახით საიმედო ცვლა გვეზრდება.

რაც შეეხება უფროსი ასაკის ჩოგბურთელებს, აქ, სამწუხაროდ, ვერავინ გამოიჩინა თავი და არც რაიმე პერსპექტივა ჩანს. გვყავს კია მოზარდი ჩოგბურთელები, რომლებიც მომავალში წარმატებით შეძლებენ რესპუბლიკის ღირსების დაცვას? ჩოგბურთის სპეციალისტების აზრით, გვყავს რამდენიმე ასეთი ჩოგბურთელი ბიჭი. მაგალითად, ს. თუხარულის აღსაზრდელები მ. ფირცხალავა (დაბადებული 1955 წ.) და ა. კეკელია (1957 წ.), მ. კლდიაშვილის აღსაზრდელი ა. ორჯონიკიძე (1955 წ.), მ. ქობალიას აღსაზრდელები თ. ასლამაზოვი და ნ. ჩოხელი (ორივე — 1955 წ.).

და მაინც, შევნიშნავთ, რომ მოზარდი ჩოგბურთელების აღზრდაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა უნდა გარდაქმნან ბავშვებთან მუშაობა.

ჯ. ენუქიძე.

# ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე

150 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო 1 აპრილს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა პირველ ნახევარფინალურ მატჩებს. ამ რიცხვის მესამედი მოწმე იყო ლიდსში გამართული შეხვედრისა, სადაც ინგლისის ჩემპიონმა „ლიდსმა" მარცხის სიმწარე იწვნია გლაზგოს „სელტიკთან" — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი შოტლანდიელებმა თამაშის პირველივე წუთზე გაიტანეს (კონელი).

ვარშავაში გადაუღებელ წვიმაში ჩატარდა პოლონეთის ჩემპიონის „ლეგიის" მატჩი როტერდამის „ფეიენოორდთან". ვერც პოლონელებმა და ვერც ჰოლანდიელებმა ვერ აიღეს კარი — 0:0.

არანაკლებ მწვავედ მიმდინარეობდა თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილეთა შეხვედრებიც. რომში ადგილობრივმა „რომამ" ვერ შეძლო ზაბჟეს „გურნიკის" დამარცხება — 1:1. თანაც, პირველი ტაიმი პოლონელებმა მოიგეს. ბურთები გაიტანეს ზაბჟელმა ბანასმა და იტალიელმა სალვორიმ.

გელზენკირხენში (გფრ) მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ადგილობრივმა გუნდმა „შალკე 04". მან ანგარიშით 1:0 დაამარცხა ინგლისის „მანჩესტერ სიტი". ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო და ეს ერთადერთი ბურთი მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გაიტანეს (ლიბუდა).

საპასუხო შეხვედრები 15 აპრილს გაიმართება.

# ახალი ამბები

● ნიკოლაევი, 2 აპრილი. ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, ყველა გმირი ქალაქის 120-ზე მეტმა მოკრივემ მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის 68 გმირის — უფროსი ლეიტენანტის კ. ოლშანსკის მეზღვაური მედესანტეების რაზმის წევრების ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში. I ადგილების უმრავლესობას რინგის მასპინძლები დაეუფლნენ, სტუმართაგან კი საუკეთესონი იყვნენ: ვ. კობლიკოვი, ვ. კიმი (ორივე — ვოლგოგრადი), ვ. კოზუბი (ოდესა), ა. შეპილოვი (მოსკოვი), ვ. კოროტაევი (ხარკოვი) და ვ. ზავგოროდნი (ზაპოროჟიე). სპორტსმენებმა გმირი მედესანტეების ძეგლი გვირგვინით შეამკეს, მერე კი ომის ვეტერანებს — ფაშისტებისგან ნიკოლაევის განთავისუფლების მონაწილეებს შეხვდნენ.

● მოსკოვი, 2 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და კრაკოვის „ვისლას" (პოლონეთი) ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ისევე როგორც პირველ მატჩში, ახლაც „მშრალი" ანგარიშით გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა — 3:0. ნახევარფინალურ შეხვედრას სსრ კავშირის გუნდი გამართავს 5 აპრილს პრაღაში ადგილობრივ „ტატრანთან".

● მეჟდურეჩენსკი, 2 აპრილი. აქ დამთავრდა იუნიორ სამთომოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომლის ბოლო სახეობაც სპეციალური სლალომის ფინალური შეჯიბრება იყო. გოგონებში ყველას აჯობა ლენინგრადელმა მოსწავლემ ს. სიმაჟენკოვამ — 1.40,2. თანაგუნდელი ო. კუზნეცოვა და ი. საუკონენი (ლენინგრადის ოლქი) გამარჯვებულს ნახევარი წამით ჩამორჩნენ. ვაჟებში იმარჯვა ს. მილეტინმა (კიროვსკი) — 1.36,0. II ადგილზეა მასპინძელთა წარმომადგენელი ვ. არდეევი — 1.36,9.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლარსენს ბედმა გაუღიმა

ბელგრადი, 2 აპრილი. გუშინ „საუკუნის მატჩში“ მოეწყო წინადღით გადადებული პარტიების დამთავრება. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევდა პეტროსიან — ფიშერის პარტია, რომელშიც ამერიკელ დიდოსტატს ზედმეტი პაიკი ჰქონდა.

როგორც ჩანს, ფიშერმა ანალიზის დროს მოგების გზას ვერ მიაგნო. პეტროსიანმა ენერგიული კონტრთამაშით ყაიმის რეალური შანსი შექმნა, მაგრამ შემდეგ ვერ გამოიყენა იგი. ამერიკელმა მოჭადრაკემ გაცვალა ლაზიერები, ეტლები, და თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც მისი გამსვლელი პაიკი მეტოქისთვის სახიფათო აღმოჩნდა. პეტროსიანი ამ პაიკს ვერ გაუმკლავდა და კუს დათმობა მოუხდა. 66-ე სვლაზე ფიშერმა გაიმარჯვა.

შეწყვეტილ პოზიციაში ტალის მეფეს ნაიდორფის ლაზიერი და ეტლი ემუქრებოდნენ. ანალიზმა აჩვენა, რომ მეფე განწირული იყო. მართლაც, ტალი თამაშის განახლებიდან რამდენიმე სვლის შემდეგ დამარცხდა.

კერესს ივკოვთან ორ პაიკში ფიგურა ჰქონდა. ეს დიდი უპირატესობაა და საბჭოთა მოჭადრაკემაც იოლად გაიმარჯვა.

სმისლოვს რეშევსკისთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა. ეს საკმარისი უპირატესობაა სმისლოვისთვის, რომელიც ენდშპილის ვირტუოზად ითვლება. მან ზუსტი თამაშით დასძლია ამერიკელი დიდოსტატის წინააღმდეგობა და გაიმარჯვა.

ამრიგად, II ტურიც საბჭოთა გუნდმა მოიგო — 6:4.

დღეს „სინდიკატების სახლში“ გაიმართა III ტური. თავიდანვე ყურადღება მიიქცია ლიდერთა პარტიებმა. პეტროსიანმა (შავებით) კვლავ კაროკანის დაცვა აირჩია. გაჩაღდა რთული ბრძოლა. გრძელი როქის შემდეგ ინიციატივა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა იგდო ხელთ. ფიშერის მეფე ცენტრში დარჩა პაიკებით ნაგები „ჩინური კედლის“ იმედზე.

—მე მგონია, პეტროსიანმა იჩქარა ლაზიერების გაცვლა, — თქვა დიდოსტატმა ლ. შტეინმა. მართლაც, როცა ექს-ჩემპიონმა პაიკთა ჯაჭვი გაარღვია და იერიშის შანსი მიიღო, აშკარად იგრძნობოდა ულაზიერობა. მალე მეტოქეებმა ეტლებიც გაცვალეს და ბრძოლა დაახლოებით თანაბარ ენდშპილში გადავიდა. 32-ე სვლაზე მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

დებიუტში სპასკიმ იმდენად დიდი უპირატესობა მიიღო, რომ ლარსენის ბედი უკვე ყველას გადაწყვეტილი ეგონა. მე-17 სვლაზე სპასკიმ პაიკიც მოიგო. კონტრთამაშის ძიებაში ლარსენმა ხარისხი შესწირა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა არ მიიღო იგი.

ლაზიერების გაცვლა სპასკიმაც იჩქარა, თუმცა ამით უკეთესი ენდშპილი მიიღო. ორი პაიკის შეწირვით იგი კვლავ დაეუფლა ინიციატივას, თანაც ლარსენი სასტიკ ცაიტნოტში იყო. მიუხედავად ამისა, პარტიის ფინალმა ყველა — კოლეგებიც, მეტოქენიც და გულშემატკივრებიც სახტად დატოვა.




ს უ რ ა თ ზ ე: იუგოსლავიის პროფსაბჭოს სახლის სცენა, სადაც მიმდინარეობს მატჩი: „სსრ კავშირის ნაკრები — მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა გუნდი“.

ტელეფოტო ვ. ეგოროვისა (ტასს).

ლარსენი



სპასკი

ამ მდგომარეობაში ლარსენს თეთრ მეფეზე იერიში აქვს ჩაფიქრებული. სპასკი პაიკებს იბრუნებს და უყურადღებოდ ტოვებს მეტოქის მოქმედებას.

31. მ:f4 მe5+ 32. მფe2 ეe8 (აგზადებს თავდასხმას e3 უჯრაზე) 33. ე:b6 მc4 34. ეb3 g5 35. მd5 ეe5 36. ეd1 (სჯობდა 36. მb6) 36. ... g4 37. მფf1?? (დიდი შეცდომაა: ფიგურა იკარგება. კვლავ 37. მb6 იყო საჭირო) 37. ... ეh1+ 38. მფe2 ე:d1 და სპასკი დანებდა.

სანამ ეს მოხდებოდა, თითქმის შეხვედრის დაწყებისთანავე კორტ—პოლუგაევსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. მალე მათ გელერმა და გლიგორიჩმაც მიბაძეს.

დანარჩენ შეხვედრებში ბრძოლა მთელს საღამოს გაგრძელდა და პარტიები გადაიდო კიდეც.

რთულ პოზიციაში შეწყდა კორჩნოი — პორტიშის პარტია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, აქ ყაიმია მოსალოდნელი.

ლაზიერების ენდშპილში გადაიდო რეშევსკი — სმისლოვისა და მატულოვიჩ — ბოტვინიკის პარტიები. რეშევსკის და ბოტვინიკს მოგების შანსს აძლევთ თითო ზედმეტი პაიკი.

ტაიმანოვ — ულმანისა და ივკოვ — კერესის შეხვედრები გადადებულია საბჭოთა მოჭადრაკეებისთვის უარეს პოზიციაში.

ტალს ნაიდორფთან ზედმეტი პაიკი და მოგების ნაღდი შანსი აქვს.

ჯერჯერობით III ტურში დაწინაურდა „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა“ გუნდი — 2,5:1,5. „საუკუნის მატჩის“ საერთო ანგარიშია 13:11 (6 გადადებული პარტია) საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

**მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ**

| სსრ კავშირი | I | II | III | III | II | I | მსოფლიოს ნაკრები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპასკი | 1/2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1/2 | ლარსენი |
| პეტროსიანი | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | ფიშერი |
| კორჩნოი | 1/2 | 1/2 | * | * | 1/2 | 1/2 | პორტიში |
| პოლუგაევსკი | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | ჰორტი |
| გელერი | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | გლიგორიჩი |
| სმისლოვი | 1/2 | 1 | * | * | 0 | 1/2 | რეშევსკი |
| ტაიმანოვი | 1 | 1 | * | * | 0 | 0 | ულმანი |
| ბოტვინიკი | 1 | 1/2 | * | * | 1/2 | 0 | მატულოვიჩი |
| ტალი | 1/2 | 0 | * | * | 1 | 1/2 | ნაიდორფი |
| კერესი | 1/2 | 1 | * | * | 0 | 1/2 | ივკოვი |
| | 5 1/2 | 6 | 1 1/2 | 2 1/2 | 4 | 4 1/2 | |

# ხუთ სახეობაში

სოხუმში დამთავრდა „განთიადის“ V საქალაქო სპარტაკიადა. შეჯიბრების პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, მძლეოსნური კროსი, ტანვარჯიში. სარბიელზე გამოვიდნენ საქსოვი ფაბრიკის, გაზის აპარატების ექსპერიმენტული ქარხნის, საზღვაო-სამეცნიერო სადგურის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, საძკერვალო ფაბრიკისა და სხვა გუნდები.

ექსპერიმენტული ქარხნის მაგიდის ჩოგბურთელებმა რ. ლადარიამ, ს. რიაბცევამ და ლ. ობოლინამ ყველა მეტოქე დაამარცხეს. ჭადრაკში იმარჯვეს მეფეხსაცმლეებმა ზ. აშუბამ, ა. აფხაზავამ და ნ. აკობიამ. ფინალში მათ ანგარიშით 2:1 მოუგეს გაზის აპარატების ქარხნის გუნდს. ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს ფრენბურთშიც, თან მათ ყველა მეტოქეს ერთნაირი ანგარიშით (2:0) მოუგეს.

მძლეოსნურ კროსში 500 მეტრზე გაიმარჯვა პირველთანრიგოსანმა ვ. არალოვამ (გაზის აპარატების ქარხანა), II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ს. რიაბცევა, III — ც. ბარბაქაძე (საქსოვი ფაბრიკა). გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა გაზის აპარატების ქარხნის კოლექტივმა.

ბოლო სახეობა ტანვარჯიში იყო. აქ პირველობა ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის გუნდს დარჩა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა გაზის აპარატების ქარხნის გუნდმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი კ. ნარმანია).

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
სოხუმი.

# „საუკუნის მატჩის“ ირგვლივ

## ნაიდორფი კმაყოფილია

მატჩის ყველაზე ხნიერმა მონაწილემ, 59 წლის მ. ნაიდორფმა II ტურის დღეს ორჯერ გაიხარა. ჯერ ერთი, მან პირველად მოუგო ტალს, რომელიც „ისტორიაში მოიერიშე სტილის ყველაზე დიდ მოჭადრაკედ“ მიაჩნია (მანამდე ნაიდორფმა ტალთან ორი პარტია წააგო და სამი ყაიმით დაამთავრა). ამას გარდა, თამაშის დაწყების წინ არგენტინელ დიდოსტატს დაუბრუნეს საბუთები და ფულის ქვითრები, რომლებიც მან ბელგრადში ჩამოსვლისას დაკარგა.

## ლარსენი ასე ფიქრობს

სასტუმრო „მეტროპოლში“ ჟურნალისტებმა II ტურის წინ საჩქაროდ მოწყობილი პრეს-კონფერენცია გაუმართეს ლარსენს.

— მე არავისი მეშინია. სპასკის მოვუგებ, — თამამად განაცხადა ლარსენმა. რა იცოდა, რომ იმ დღეს პარტიას წააგებდა.

როცა ჰკითხეს, ვის მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკედო, ლარსენმა უპასუხა: „შედარება ძნელია, მაგრამ საუკეთესო მაინც ფრანგი ფილიდორი უნდა იყოს. მან მთელი თაობით გაუსწრო თანამედროვეებს“.

ვის შეიყვანთ ხუთი უძლიერესი დიდოსტატის რიცხვში? ამ კითხვაზე ლარსენმა თითქმის დაუფიქრებლად ჩამოთვალა: „სპასკი, პეტროსიანი, კორჩნოი, ფიშერი და მე“. და იქვე დასძინა: „რასაკვირველია, გვარების სხვა განლაგებით“.

## ვინ მიიღებს ჯილდოს?

დაფებზე გამარჯვებულები საგანგებო ჯილდოებს მიიღებენ. მაგრამ მიკრომატჩი ყაიმით რომ დამთავრდეს? მასპინძლებმა ესეც გაითვალისწინეს. ამ შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი მატჩი ოთხ პარტიად, ოღონდ... მეტოქეები მას ელვისებურად ითამაშებენ: თითო პარტიას ათიოდე წუთი დაეთმობა. ამ უჩვეულო მატჩს რამდენიმე მილიონი მაყურებელი ეყოლება — ბრძოლის მსვლელობას ტელევიზიით გადასცემენ.

## იქნებ ხუმრობა არ არის?

1 აპრილს ბელგრადის გაზეთებმა „ბორბამ“ და „ვეჩერნი ნოვოსტიმ“ ქვეყანას აუწყეს, რომ მზადდება „საუკუნის ახალი მატჩი“: სპასკი — ფიშერი. ამერიკელი დიდოსტატი თანახმაა. ახლა სიტყვა სპასკის ეკუთვნის.

ზოგიერთი მიმომხილველი ამბობს, რომ ეს პირველი აპრილის ტრადიციული ხუმრობაა. იქნებ არც არის ასე?



რ. კოკოშვილი ამ 6 წლის წინ მივიდა პირველად მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში. მწვრთნელმა ვ. კრილოვამ პატარა გოგონაში უზადო ოსტატის მონაცემები შენიშნა. ახლა სოხუმის მე-10 სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე საქართველოს უძლიერეს ნორჩ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რიცხვში შედის. შარშან მან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა. რესპუბლიკის წლევანდელ პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც ახლახან დამთავრდა, რ. კოკოშვილმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. კოკოშვილი.

ფოტო ვ. ზუკინისა.

# ახალი ამბები

● ტამპა, 2 აპრილი. არიზონას შტატის ამ ქალაქში ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდსმენმა შუბის ტყორცნაში, 21 წლის სტუდენტმა მ. მიურომ 91,44 მეტრზე ტყორცნა ეს იარაღი, რაც აშშ-ს ახალი რეკორდი და მესამე შედეგია მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიაში.

● სოჩი, 2 აპრილი. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა სეზონის პირველი ტურნირი. შუბის ტყორცნაში ქალთა შორის იმარჯვა ევროპის პირველობის პრიზიორმა ვ. ევერტმა — 54,62 მ, ბადროს ტყორცნაში — ნ. ზარანოვამ (ლენინგრადი) — 51,94 მ. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში შეჯიბრება მოიგო ვ. კოლნევმა (დნეპროპეტროვსკი) — 1:34.05,4.

# კრასნოდარელთა წარმატება

ტაშკენტი, 1 აპრილი. კრასნოდარის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდი ამიერიდან „ა“ კლასის I ჯგუფში იასპარეზებს. ეს უფლება მან მეორე ეშელონის 8 გუნდის აქ დამთავრებულ დასკვნით შეჯიბრებაში მოიპოვა — 17 ქულა დააგროვა. 16 ქულა აქვს დონეცკის „სპარტაკს“, რომელმაც ტაშკენტში შვიდივე მატჩი მოიგო. შემდეგ არიან: ხარკოვის „სპარტაკი“ (15 ქულა), ტაშკენტის „ავტომობილისტი“ (14), ლენინგრადის „სპარტაკი“ (7), ვორონეჟის „დინამო“ (7), სვერდლოვსკის „ურალოჩკა“ (6), ირკუტსკის „სპარტაკი“ (2).

ფეხბურთი

## ჩემპიონატის მოკლე ქრონიკა

2 აპრილი ჩემპიონატის მორიგი, IV ტურის დღე იყო. შედგა 8 კალენდარული მატჩი.

უგოლოდ მხოლოდ 1 თამაში დამთავრდა, დანარჩენ შვიდ მატჩში კი გატანილ იქნა 21 ბურთი. ეს ჯერჯერობით რეკორდია. ყველაზე „უხვმოსავლიანი" იყო მოსკოვისა და ორჯონიკიძის სპარტაკელთა შეხვედრა, სადაც ორივე კარში 6 ბურთი გავიდა.

ამ დღეს მასპინძლებმა 16 შესაძლებლიდან აიღეს 6 ქულა, სტუმრებმა — 10. პირველებმა გაიტანეს 9 გოლი, მეორეებმა — 12.

ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას კვლავ სათავეში უდგას თბილისის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია — 4 ბურთი.

მოსკოვის „სპარტაკი" ორჯონიკიძის თანაკლუბელებს სოჭში ეთამაშა. მოსკოველთა უპირატესობა სრული იყო — 5:1. ბურთები გაიტანეს ოსიანინმა, კისელიოვმა, ლოგოფეტმა, კნიაზევმა, ჰუსაინოვმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია აბაევი.

ასევე ნეიტრალურ მინდორზე, ყრუნზეში, ითამაშეს „ზენიტმა" და ცსკა-მ. არმიელებმა მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს — 2:0. ბურთები გაიტანეს უტკინმა და ფედოტოვმა.

საინტერესო ამბები მოხდა ბაქოს სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფთჩი" და მოსკოვის „ტორპედო". მატჩი დამთავრდა ფრედ (1:1) და ორივე ბურთი საკუთარ კარში იქნა გატანილი. ბაქოელთა მხრივ ავტოგოლის ავტორი იყო ი. ბაბაევი, ხოლო ტორპედოელებისა — კრასნოვი.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი დონეცკში ადგილობრივ „შახტიორსა" და კიევის „დინამოს" შორის. კიეველებს გამარჯვება მოუტანა ბიშოვეცის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

როსტოვის არმიელებმა მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს მეტოქის მინდორზე, ოდესაში. 31-ე წუთზე შორიდან დარტყმით მიხაილინმა ანგარიში გახსნა, მაგრამ შესვენების შემდეგ როსტოველმა პროსკურინმა 2 გოლი გაიტანა — 2:1.

კვლავ სუსტად ითამაშა შინ „ფახთაქორმა" და დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან" დიდი ანგარიშით — 0:4. ბურთები გაიტანეს სიომინმა, კოზლოვმა, ეშტრეკოვმა და ევრიუჟიხინმა.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. თბილისის პირველობა. დღეს: 11 საათზე — მონაწილეთა აღლუმი. მაუდ-კამვოლის კომბინატი — სამედიცინო ინსტიტუტი. დასაწყისი 12 ს. „უშბა" — სატელეგრაფო აპარატურის ქარხანა. დასაწყისი 14 ს. საქართველოს პირველობა. „ისნის" სტადიონი. 5 აპრილი. „ისანი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია). დასაწყისი 15 ს.

სსრ კავშირის პირველობა

# აუტსაიდერიც იბრძვის

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 აპრილი.

„დინამო" (თბილისი)—„დინამო" (მინსკი) 2:1 (1:0).

**თბილისი:** ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გავაშელი).

**მინსკი:** ხრუსტალიოვი, კუზნეცოვი, გრებნევი, შპილევსკი, სემიონოვი, გირკო (ვორონინი), ტოლეიკო, ადამოვი, კასილიევი, მალოფეევი, სახაროვი (კაბერსკი).

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს: მინსკელთაგან — კაბერსკიმ, თბილისელთაგან — ილიადიმ (2) და მჭედლიშვილმა.

ჩვენი გუნდის თამაშის ყველაზე უკეთესი ბარომეტრი სტადიონის ტრიბუნებია. თუ დინამოელები კარგ ფორმაში არიან და ისე თამაშობენ, როგორც საჭიროა, ტრიბუნები სავსეა. თუ არა და, სტადიონზე მოდის მხოლოდ ის, ვისაც უფეხბურთოდ არ შეუძლია გაძლება, ვინც გუნდის უანგარო ერთგულია.

ახლა მაყურებელსა და დინამოელთა შორის სრული ჰარმონია სუფევს. ორივე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას: გუნდი საუცხოოდ თამაშობს, სტადიონის შესასვლელებთან კი ისევ ძველებურად ისმის მივიწყებული ლაპარაკი ზედმეტი ბილეთის თაობაზე. მაგრამ განვლილ მატჩში ტრიბუნებს მაინც გადაუარა უკმაყოფილების ჩრდილმა. მოწმენდილ ცაზე პატარა ღრუბელი გამოჩნდა.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ თბილისელმა ფეხბურთელებმა ჯეროვნად არ შეაფასეს მინსკის „დინამოს" შესაძლებლობანი და, რაკი თვითონ ერთპიროვნული ლიდერები იყვნენ, სტუმრებს კი ერთადერთი, ობოლი ქულა ჰქონდათ, სრული ძალით არ ითამაშეს. ახლა, თანამედროვე ფეხბურთში ისეთი დრო დადგა, რომელი გუნდიც უნდა შეხვდეს უმაღლეს ლიგაში, მთელი მონდომებით და სიძლიერით თუ არ ითამაშე, სადღაც აუცილებლად წაიმტვრევ ფეხს. თბილისელებმა ეს კარგად იციან და ამ მატჩში მათგან უქმად არავინ ყოფილა. პირიქით, ყველა იბრძოდა, ყველა მობილიზებული იყო, მაგრამ დროდადრო თამაში მაინც არ გამოდიოდა და სულ სხვა მიზეზებით.

ჯერ ერთი, არ იყო ტემპი, არ იყო ის სისწრაფე, ის შეუჩერებელი მოძრაობა, რომლის დროსაც დინამოელები თავიანთი მაღალი ტექნიკის მეოხებით ყველაფრის გაკეთებას ასწრებენ, ყველაფერს უმაღლეს დონეზე ასრულებენ, მეტოქე კი იბნევა, კარგავს ბურთს, ვერ ასწრებს ადგილის შერჩევას ფორვარდების ადგილშენაცვლებისას, ღიად ტოვებს პოზიციას და ა. შ.

მეორე, — ჩვენი ფეხბურთელები ხშირ შემთხვევაში უსარგებლოდ, ზედმეტად ატარებდნენ ბურთს, კარგავდნენ კონტაქტს განთავისუფლებულ პარტნიორთან და ამით არღვევდნენ კომბინაციურ მთლიანობას.

მესამე, — მინსკელებს კარის დაცვის ორგანიზებაში ძალიან შეუწყო ხელი იმან, რომ თბილისელები მოკლე, „მიკროგადაცემებით" თამაშობდნენ და შუა მინდვრის გავლას გაცილებით მეტ დროს ანდომებდნენ, ვიდრე ამას რეგლამენტი მოითხოვდა. კომბინაციას ამით სიმწვავე აკლდებოდა, იკარგებოდა მოულოდნელობის ელემენტი. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კუტივაძე და ისიც ეპიზოდურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე.

ყოველივე ამის გამო დაქვეითდა მატჩის სანახაობრივი მხარეც. მინსკელები საერთოდ არ გამოირჩევიან ლამაზი თამაშით, ეფექტებით. ამას დაემატა მასპინძელთა ერთფეროვნებაც და მაყურებელს სასიამოვნოდ მხოლოდ ის დარჩა, რომ თბილისელებმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

დაახლოებით მე-15 წუთამდე თამაში მონოტონურად, უინტერესოდ მიმდინარეობდა. ტრიბუნებს გამოცოცხლებამ გადაუარა მხოლოდ მე-15 წუთზე, როცა კუტივაძემ დაახლოებით 40 მეტრიდან შესანიშნავად დაარტყა საჯარიმო და ბურთი ოდნავ ასცდა სტუმრების კარს. თბილისელები დიდი ტერიტორიული უპირატესობით თამაშობდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტები ნაკლებად იქმნებოდა. ბოლოს, 31-ე წუთზე, ლ. ნოდიამ და მეტრეველმა მარცხენა ფლანგზე გაითამაშეს ბურთი, შემდეგ იგი ცენტრში აღმოჩნდა და გ. ნოდიამ ამ მომენტშიც ზუსტად შეასრულა თავისი როლი: ძლიერმა დარტყმამ ღაბალ კუთხეში მიაღწია მიზანს — 1:0.

მეორე ტაიმში მინსკელებმა რამდენადმე გამოაკეთეს თამაში და ეს უმთავრესად მათი მოწინააღმდეგის ინერტულობისა და შეცდომების ხარჯზე მოხდა. ურუშაძის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა.

ამ მატჩის ბედი საბოლოოდ თითქოს მაშინ უნდა გადაწყვეტილიყო, როცა პეტრიაშვილმა ოციოდე მეტრის მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარში და ხრუსტალიოვმა ვერ შეძლო მისი აღება, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლეს. მათი ეს შრომა სათანადო შედეგითაც დამთავრდა: თბილისელთა სტოპერებმა შეცდომა დაუშვეს, ურუშაძე უდროოდ გამოვიდა კარიდან და ადამოვმა ერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო.

ზ. ქორქია.

• • •



სურათზე: თბილისელთა ნახევარმცველს გ. პეტრიაშვილს (ზოლებიან მაისურში) ბურთი გააქვს მინსკელთა კარში.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## 0:0 ვოროშილოვგრადში

ვოროშილოვგრადი. „ავანგარდის" სტადიონი. 2 აპრილი.

„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0.

„ზარია": ტკაჩენკო, შულჟენკო, რაშჩუპკინი, პინჩუკი, საბო, ფომენკო, ლევჩენკო, შილინი, ლისაკოვსკი, კუსკოვი (სემიონოვი), ფურსოვი.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე (აბზიანიძე), წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ჩიხლაძემ.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 0 | 9—2 | 8 |
| ცსკა | 3 | 3 | 0 | 0 | 9—0 | 6 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 3 | 0 | 1 | 5—3 | 6 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—1 | 5 |
| „არარატი" (ერევანი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3—1 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 2 | 2 | 0 | 0 | 6—0 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 4 | 1 | 2 | 1 | 7—5 | 4 |
| ასკ (როსტოვი) | 3 | 2 | 0 | 1 | 3—2 | 4 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—6 | 3 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—2 | 2 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—4 | 2 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—10 | 2 |
| „დინამო" (მინსკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—4 | 1 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—6 | 1 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 4 | 0 | 1 | 3 | 3—10 | 1 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2—9 | 1 |

## რესპუბლიკურ ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური ჩემპიონატის II ჯგუფის გუნდები — „დინამო" (ოჩამჩირე), „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) და „ნარინჯოვანი" (გულრიფში) მოხსნილი არიან გათამაშებიდან და საგაისოდაც დაკარგული აქვთ ადგილი ამ ჯგუფში.

## „ადიდასი" პირველია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამსტერდამში მოაწყო კონკურსი იმ ფირმებისთვის, რომლებმაც თავიანთი ბურთები წარმოადგინეს მსოფლიო ჩემპიონატისთვის. კონკურსში მონაწილეობდა 500-მდე ფირმა.

ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული. სპეციალისტებმა I ადგილი მიაკუთვნეს „ადიდასის" ფირმას.

# სტარტის წინ

ყოველ ახალ საფეხბურთო ჩემპიონატს ახალი იმედებით მოელიან გულშემატკივრები, ფეხბურთელები, სპორტის ამ სახეობის მილიონობით მოყვარული. მუდამ არის ახალი საზრუნავი, ჩნდებიან ახალი სახელები და ა. შ.

ბევრი საზრუნავი აქვთ ბათუმის დინამოელებსაც. შარშან გუნდმა საკმაოდ კარგად ითამაშა და თავის ქვეჯგუფში VII ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კოლექტივი „ა" კლასის I ჯგუფში მოხვედრილიყო და ამიტომ იგი წლეულს „ა" კლასის II ჯგუფის მონაწილეთა შორის იქნება.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ო. მურვანიძე** ესაუბრა დინამოელთა უფროს მწვრთნელს **ვ. ჯოხაძეს** და სთხოვა ეთქვა თავისი შეხედულებანი წინამდებარე სეზონის გარშემო.

—სეზონისთვის მზადებას,—თქვა ვ. ჯოხაძემ, — მშობლიურ ქალაქში შევუდექით. ვარჯიში დავიწყეთ დარბაზში, შემდეგ ამინდმა ხელი შეგვიწყო და ღია ცის ქვეშ გავედით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ფიზიკურ მომზადებას, სავარჯიშო პროგრამაში გვქონდა მძლეოსნობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში და, რა თქმა უნდა, წმინდა საფეხბურთო ელემენტები.

გუნდი ბათუმიდან არ გასულა. აქ დაგეგმილი გვქონდა საწვრთნელი მატჩები და ასეთები ჩავატარეთ ფოთის „კოლხეთთან", მახარაძის „მერცხალთან", მაგრამ ეს ერთობ მცირეა. უმაღლესი ლიგის ძლიერმა გუნდებმა რატომღაც არ ისურვეს ბათუმში ჩამოსვლა. იყო, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: 18 მარტს აქ უნდა ეთამაშათ ადგილობრივ „დინამოსა" და როსტოვის არმიელთა გუნდს, მაგრამ როსტოველები სათამაშოდ არ ჩამოვიდნენ.

ახლა რამდენიმე სიტყვა გუნდის შემადგენლობაზე. ბათუმის „დინამოდან" თბილისის „დინამოში" მიიწვიეს ცენტრალური მცველი ვ. ქორიძე, ხოლო ნახევარმცველი რ. ხაბიბულინი საკუთარი სურვილით წავიდა.

მივიღეთ ახალი შევსება. ესენი არიან მეკარეები ვ. პავლოვი ტაიბულის „მეშახტიდან" და ს. იორამაშვილი ქუთაისის „ტორპედოდან". ბათუმის ნორჩი დინამოელიდან ავიყვანეთ 18 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ვახტანგ ქვიტაიშვილი, რომელმაც კარგი პარტნიორობა უნდა გაუწიოს თავის უფროს ძმას, მარჯვენა გარემარბს ვაჟას. მოვიწვიეთ ცენტრალური მცველი მ. წივწივაძეც.

ბათუმის „დინამოს" მთავარ ბირთვს შეადგენენ მეკარე თ. მორჩილაძე, მცველები მ. ჩხაიძე, ა. სირბილაძე, ა. გიორგიადი, მ. გაგუა, ნახევარმცველები ვ. ჩხარტიშვილი, ტ. ილურიძე, ვ. დიმახოვი, თავდამსხმელები ბ. გიორგაძე, ს. ოვანესიანი, კ. რამიშვილი, დ. ჰანტურია.

ჩვენმა მეკარემ თ. კვახაძემ ავადმყოფობის გამო თავი დაანება თამაშს და მეორე მწვრთნელად მუშაობს კოლექტივში. გუნდის უფროსია ჩვენი ყოფილი მეკარე ა. კვაჭაძე. პირველი მატჩი 11 აპრილს გვაქვს გამოცდილ, ძლიერ კოლექტივთან — ვოროშილოვგრადის „ტრუდთან".

მწვრთნელმა განაცხადა, რომ კოლექტივში ყველა ღონეს მიმართეს, რათა აღმოიფხვრას შარშანდელი ნაკლოვანებანი. გუნდის წევრთა შორის სუფევს მეგობრული ატმოსფერო და თითოეული მათგანი ყველაფერს ილონებს წარმატების მოსაპოვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატის გრძელი გზა

ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა VII ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვში 1 აპრილს დაიწყო, საბჭოთა ქალთა და ვაჟთა გუნდებმა სტარტი გამარჯვებით აიღეს. სატურნირო კენჭისყრამ წინასწარი თამაშების პირველ მატჩებში ისინი ბულგარეთის ჩოგბურთელებთან შეახვედრა. საბჭოთა სპორტსმენებს არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ: ვაჟებმა მოიგეს ანგარიშით 5:0, ქალებმა — 3:0.

მართალია, ბულგარეთის გუნდის ერთმა წევრმა პ. ველიკოვმა აალელვა თავისი მეტოქეები, როცა მატჩის სასტარტო პარტია მოუგო სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ს. გომოზკოვს. მაგრამ შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელმა ნერვები დაიმორჩილა და უფრო მტკიცედ დაიწყო თამაში. ველიკოვმა პირველი ხელი მოუგო მეორე საბჭოთა ექს-ჩემპიონს ს. სარხოიანსაც, მაგრამ ბათუმელმა შემდეგ ძალა მოიკრიბა და ელეგანტურ სტილში დაამარცხა მეტოქე (სხვათა შორის, ველიკოვიც ცაციაა).

სსრ კავშირისა და ბულგარეთის ქალთა გუნდების მატჩი უფრო მოკლე იყო, პირველ ყოვლისა, ორთაბრძოლათა ნაკლები რიცხვის გამო. ვაჟთა მატჩებში 9 შეხვედრა ტარდება, ქალთა მატჩებში — 5 (მათ ერთეულთა შეხვედრების გარდა წყვილთა ერთი ორთაბრძოლაც უნდა ჩაატარონ). ზ. რუდნოვამ, რ. პოლოსოვამ და ა. სკარულენემ (იგი პოლოსოვას მეწყვილე იყო) № 3 მაგიდასთან 50 წუთში დაამთავრეს თავიანთი დებიუტი ევროპის პირველობაში.

ვაჟთა სხვა წინასწარი შეხვედრებიც (მათი 20 გუნდი, როგორც ქალთა 19 კოლექტივი, ხუთ ჯგუფადაა დაყოფილი) საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. ფავორიტებმა — შვედებმა, უნგრელებმა და იუგოსლაველებმა იოლად დაამარცხეს თავიანთი სუსტი მეტოქენი. მხოლოდ პოლონეთ — საფრანგეთის მატჩმა გასტანა სამ საათს. მისი ბედი ბოლო შეხვედრაში გადაწყდა. ჯ. პიურკარის დაცვამ გაუძლო ზ. ფრონჩიკის თავდასხმას და ფრანგებმა გაიმარჯვეს — 5:4.

იმავე № 3 მაგიდასთან (დარბაზში სულ 10 მაგიდა დგას) საბჭოთა ვაჟთა გუნდმა ღირსით დაამარცხა ავსტრიელი ჩოგბურთელები — 5:0.

ქალთა ტურნირში პირველი სენსაცია მოხდა. იუგოსლავიის გუნდმა, რომელიც გამარჯვების პრეტენდენტად ითვლებოდა, წააგო ფრანგებთან — 1:3. უნგრელებმა მინიმალური უპირატესობით დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი — 3:2.

... მაშ ასე, ევროპის ჩემპიონატი თავის გრძელ გზას დაადგა. ერთ კვირაში 1500-ზე მეტი შეხვედრა გათამაშდება. ამ შეხვედრებს თვალს ადევნებს 100-ზე მეტი მსაჯი და თითქმის 200 ჟურნალისტი, რომელთაგან 70 უცხოელია.

ახლა კი ერთი უსიამოვნო ამბავიც უნდა გაცნობოთ: საბჭოთა გუნდში სულ ბოლო მომენტში ცვლილება მოხდა. ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა — ლვოველმა მ. სტროკატოვმა, მოსკოველმა რ. მუსტაფინმა, ოდესელმა რ. ერენტიუკმა და ლენინგრადელმა ს. ლემჩევმა სპორტული რეჟიმი დაარღვიეს და ნაკრების მწვრთნელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შეჯიბრებიდან მათ მოხსნას. ოთხივე ძლიერი ჩოგბურთელია და მათი გამოსვლა გუნდისთვის უთუოდ სასარგებლო იქნებოდა ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირში, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებს არ შეეძლოთ სხვაგვარად მოქცეულიყვნენ. დისციპლინის დარღვევა თვით აღიარებულ სპორტსმენებსაც კი არ ეპატიებათ.

პირად პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ცნობილმა ერევნელმა ოსტატმა გ. ვარდანიანმა (ადრე იგი მხოლოდ ვაჟთა წყვილების თანრიგში გამოდიოდა). ნაკრებში შეიყვანეს, აგრეთვე, 16 წლის კიშინიოველი ა. როდელისი და 17 წლის ოდესელი ა. საპრიკიხი.

* * *

ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დაიწყო ახალი ხანა — გუნდური ნახევარფინალების პერიოდი: გაირკვა კონტინენტის პირველობის „ელიტა". ქალთა ერთ ნახევარფინალურ ჯგუფში შევიდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ინგლისის, უნგრეთისა და შვეციის გუნდები, მეორეში — გფრ-ის, რუმინეთის, გდრ-ის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები. ვაჟთა პირველ ნახევარფინალში მოხვდნენ შვეციის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიისა და დანიის, მეორეში — სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ინგლისის, გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები.

საბჭოთა ჩოგბურთელი ქალებისთვის პირველი მატჩი, რომელიც მათ ანგარიშით 3:0 მოუგეს შვედებს, დიდი გამოცდა არ ყოფილა. მსოფლიო ჩემპიონებმა ზ. რუდნოვამ და ს. გრინბერგმა მეტოქეებს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვეს.

სამაგიეროდ, საბჭოთა ვაჟების გუნდს პირველი ნახევარფინალური ქულა არც ისე იოლად ხვდა. მართალია, მან ანგარიშით 5:2 მოუგო ფრანგებს, მაგრამ ჟ. სეკრეტენის „პრობლემა" აქაც დადგა. საფრანგეთის ჩემპიონმა ჯერ ს. სარხოიანი დაამარცხა (2:0), შემდეგ კი შეუპოვარ ბრძოლაში მოუგო ს. გომოზკოვს — 2:1. მოსკოველი, რომელიც სრული ძალით ჯერ კიდევ ვერ თამაშობს, გადამწყვეტ პარტიაში დაწინაურდა (15:10, 17:14, დასასრულ — 20:19), მაგრამ შეხვედრა მაინც დათმო — 20:22. მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონმა ა. ამელინმა შეძლო სეკრეტენის დამარცხება, თუმცა ეს წარმატებაც შეუპოვარ ბრძოლაში იყო მოპოვებული — 21:18, 24:22.

2 აპრილს საღამოს საბჭოთა სპორტსმენებმა უფრო სერიოზული მეტოქეები დაამარცხეს: ქალებმა სძლიეს უნგრელებს (3:0), ვაჟებმა კი ანგარიშით 5:2 დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები. თანაც, გომოზკოვმა მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ე. შელერი დაამარცხა — 2:0.

ამ დღის მატჩებიდან უნდა გამოვყოთ უნგრელი სპორტსმენების გამარჯვება (5:0) ჩეხოსლოვაკიის გუნდთან, რომლის ავტორიტეტიც ევროპულ მაგიდის ჩოგბურთში საკმაოდ მაღალია. ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ზ. ბერციკის აღსაზრდელებმა ჯერ კიდევ წინადღით მიიქციეს ყურადღება, როცა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები. ქალთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, რომელმაც ძნელ ბრძოლაში მოუგო რუმინელებს (3:2) და გფრ-ის სპორტსმენებს (3:0). თავის მხრივ, რუმინელმა ქალებმა დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები — 3:2. სხვათა შორის, ორივე მატჩში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, რუმინელმა მ. ალექსანდრუმ ერთეულთა ოთხივე შეხვედრა მოიგო. თუმცა მას უკვე ვეტერანთა რიცხვში თვლიან, ალექსანდრუ შესანიშნავი მაგალითია ახალგაზრდა ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც მოსკოვის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის უმრავლესობას შეადგენენ.

სასიამოვნოა, რომ ეგრეთ წოდებული ვეტერანები კარგად გამოდიან: ჯერ კიდევ 1954 წელს ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც საბჭოთა სპორტსმენები მეთვალყურეთა როლში გამოდიოდნენ, თავი გამოიჩინა 22 წლის ინგლისელმა ჩოგბურთელმა დიანა როუმ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დიანა ცოლად გაჰყვა გფრ-ის ჩემპიონს ებერჰარდ შელერს. ახლა დიანა შელერი ქალიშვილის დედაა, მაგრამ კვლავინდებურად მაღალ ოსტატობას გვიჩვენებს და ჩვენი კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლება.

ბევრს ახსოვს სსრ კავშირ — პოლონეთის მატჩი, რომელიც ამ 16 წლის წინ ლენინგრადში ჩატარდა. მაშინ დიდი მოწონება დაიმსახურა პოლონელმა ჩოგბურთელმა დანუტა ცალინსკამ. იგი ახლაც თითქმის ერთ-ერთი უძლიერესია პოლონეთის გუნდში.

ბევრი ვეტერანი მხოლოდ თავისუფალ დროს ჰკიდებს ხელს ჩოგანს, რათა მეგობრებთან შეჯიბრებით გაერთოს, მაგრამ ისინი უწინდებურად განუყრელად არიან დაკავშირებული მაგიდის ჩოგბურთთან. მაგალითად, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ინგლისელი ვ. ბარნა სათავეში უდგას ფირმას, რომელიც მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარს ამზადებს. მწვრთნელებად მუშაობენ ზ. ბერციკი, მისი თანამემამულე, ლეგენდარული ფერენც სიდო, რუმინელი ელა კონსტანტინესკუ-ცელერი.

პატარა ჩოგანთან ყველა მათგანს აკავშირებს ხანგრძლივი, მტკიცე სიყვარული.



ცხენოსანთა შეჯიბრება მუდამ ლამაზი, მიმზიდველი სანახაობაა. ამ შეჯიბრების სანახავად მოსული მაყურებელი ძალიან ხშირად ხდება ისეთი მოულოდნელი სურათის მოწმეც, როგორსაც დღეს გთავაზობთ. ეს ასპარეზობა პარიზში მოეწყო. ბედაურმა „გრანდ კუმ" (№ 7) შეგნებულად განაცხადა უარი ერთ-ერთი დაბრკოლების გადალახვაზე, მისი მხედარი ბასო კი ამ სიურპრიზის გამო თავით პირდაპირ წყალში გადაეშვა. გაჯიუტდა „ვიო ლანდეც" (№ 8), მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო წინდახედულად მოიქცა და თავისი მხედარი ხმელეთზე დატოვა.

## ობიექტივში მსოფლიო

ეს შეხვედრა სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ნეის სარბიელზე ჩატარდა. თამაში ისე აზარტულად წარიმართა, რომ ხელდახელ ბრძოლაში ჩაბმული ორი რეგბისტი გოგონას გასაშველებლად მათი გუნდების ყველა წევრის ჩარევა გახდა საჭირო. ერთმანეთს ხვდებოდნენ „სულ გოგონები" და „წითელი ეშმაკუნები".



## ნაგება და მოგება ძმები არიან

1 აპრილს ლენინგრადსა და ძერჟინსკში სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველმა წრემ. ლენინის ქალაქის აუზში ცენტრალური შეხვედრა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონის — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა (მოსკოვი) და კიევის „დინამოს" მატჩი იყო. გულშემატკივრები მეზღვაურთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დინამოელებმა მრისხანე მეტოქეს უშელავათო ბრძოლა გაუმართეს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ — 2:3. მოსკოვის „ტორპედოსა" და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 5:5.

ძერჟინსკში ერთმანეთს პირველად მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი და თბილისის „დინამო" შეხვდნენ. სტუდენტებმა უფრო ოსტატობით ითამაშეს და მატჩი მოიგეს — 5:3. აღსანიშნავია, რომ მოსკოველთა გუნდში გამოდიოდა სახელგანთქმული წყალბურთელის პ. მშვენიერაძის ვაჟი, 17 წლის ნუგზარი, რომელსაც სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მეორე ტურში მოსკოველმა სტუდენტებმა გაჭირვებით მოუგეს ალმა-ათის „დინამოს" — 8:7. თბილისის „დინამოსა" და ჩემპიონატის დებიუტანტის — მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივის" შეხვედრაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4:3.

კვლავ იმარჯვეს მოსკოველმა მეზღვაურებმა, რომლებმაც თანაქალაქელი ტორპედოელები დაამარცხეს — 3:2. ლენინგრადის „ბალტიკამ" ასეთივე ანგარიშით მოუგო კიევის „დინამოს".

რედაქტორი მ. პაპაბაძე

## 6 აპრილს

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ცენტრალურ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისთვის შექმნილი სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციას — „მსოფლიო რევოლუციური პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალები" — წაიკითხავს დოცენტი გ. ხუნწარია.

დასაწყისი 17 ს.

## თბილისი სპორტული ბაზრობა

თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს თასის გათამაშება. „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი. დღეს: ფარიკაობა. დასაწყისი 9 ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ესაჭიროება მბეჭდავი-მემანქანე რუსულ ენაზე.

პირობების გაცნობა შეიძლება კომიტეტის კადრების განყოფილებაში: ჯაფარიძის ქ. № 4. ტელეფონი 99-69-88.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 08135